ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 32

14 ივნისი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელისთვის თეიმურაზ ბოჭორიშვილის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გიგო ხეჩუაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის გიგო ხეჩუაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
3. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებში ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N82 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ.
4. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის იოთამ ზედგინიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კაკლიანის ქუჩის მონაკვეთვილთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა მირზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, სერგი ცხაკაიას ქუჩის გაგრძელების შესახებ.
7. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის II შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის იუნკერ ლევან კანდელაკის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქ.თბილისშ, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
9. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩასთან მდებარე სამი უსახელო ჩიხისთვის რაჭის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში აფხაზეთის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება გლდანის რაიონში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელისთვის თეიმურაზ ბოჭორიშვილის III ჩიხის სახელის მინიჭებას. კომისიაში შემოსულია ბ.მ.ა.

„აფხაზეთი“-ის ამხანაგობის თავმჯდომარე თინა ნაჭყებიას განცხადება, რომლითაც თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელის კორპ. 4-ის მაცხოვრებლების სახელით ითხოვს მისამართის შეცვლას. ზემოაღნიშნულ კორპუსთან შესასვლელი გზა დღეის მდგომარეობით არ წარმოადგენს გასასვლელს, ფიზიკურად გასასვლელი გზა არ არსებობს. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელს მიენიჭოს თეიმურაზ ბოჭორიშვილის III ჩიხის სახელი.

მეორე საკითხი შეეხება გლდანის რაიონში, გიგო ხეჩუაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის გიგო ხეჩუაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭებას. რადგან გიგო ხეჩუაშვილის ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი, ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია. ქუჩა ასევე იყოფა სხვადასხვა მიმარულების განტოტებებად და აქვს ერთგვაროვანი ქსელური ხასიათი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან, საკითხის და ტერიტორიის შესწავლის შემდეგ გიგო ხეჩუაშვილის ქუჩის მონაკვეთი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს როგორც გიგო ხეჩუაშვილის I შესახვევი.

მესამე საკითხი შეეხება 2024 წლის 20 თებერვლის #82-ე განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

მეოთხე საკითხით მიხედვით, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭება იოთამ ზედგინიძის I ჩიხის სახელი. იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან არსებული გეოგრაფიული ობიექტი უსახელოა და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს იოთამ ზედგინიძის I ჩიხს.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეხუთე საკითხი. სამგორის რაიონში, კაკლიანის ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ერთ ჩიხს მიენიჭება აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა მირზაშვილის სახელი. იგი აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 27 სექტემბერს ქალაქ სოხუმის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვის დროს ჟიული შარტავასთან ერთად აყვანილ იქნა ტყვედ და მას შემდეგ დაიკარგა უგზო-უკვლოდ. კომისიამ დადებითად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, სერგი ცხაკაიას ქუჩის გაგრძელების საკითხი.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხი შეეხება მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის II შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის იუნკერ ლევან კანდელაკის სახელის მინიჭებას. ვინაიდან ხსენებული ქუჩა უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს გასაბჭოების წინააღმდეგ მებრძოლი იუნკერების ხსოვნის მემორიალს და ქუჩების უმრავლესობას მინიჭებული აქვს იუნკერების სახელები, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია

სახელდების აღნიშნული პრაქტიკის შენარჩუნება. კომისიამ დადებითად შეაფასა აღნიშული ინიციატივა.

მერვე საკითხით, მთაწმინდის რაიონში, წავკისში გაგრძელდება არჯევან ანანიაშვილის ქუჩა.

ასევე დამისამართდება სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, რაჭის ქუჩასთან მდებარე სამი უსახელო ჩიხი და მიენიჭება რაჭის სახელი.

მეათე საკითხით კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში გაგრძელდება აფხაზეთის ქუჩა.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაციები მისცეს აღნიშულ საკითხებს.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე